**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ—ძე შერვაშიძე შაბათს, ღამის მატარებლით, აბასთუმნიდგან ტფილისში დაბრუნდა.

*** გერმანიის ელჩის მდივანი თეირანში ბარონი ფონ გეინტცა გუშინ ბათუმიდამ ტფილისში ჩამოვიდა.

*** ტფილისის ქუჩებში არა ერთხელ გენახვებათ სულით ავადმყოფი, სახელად იაშა, რომელიც განთიადიდგან შუაღამემდე ქუჩა-ქუჩა დატანტალებს ქოლგით, ჯოხით, ჟურნალ-გაზეთებით დ წიგნებით ხელში. ეს იაშა ხშირად მიჰვარდნია ქალებს და კოცნა დაუწყია. პოლიციამ იაშა არა ერთხელ შეიპყრო, მაგრამ მაინც ვერ დააშლევინეს ეს საქციელი. პოლიცის ცდამ, რომ იაშას ქსენოსში გაეგზავნათ როგორმე ეს სულით ავადმყოფი, ამაოდ ჩაიარა, რადგანაც საავადმყოფოში ალაგი არ იყო. ეხლა-კი ქსენოსში სამის ავადმყოფის ალაგი განთავისუფლდა და კარგი იქნება, რომ ამ უბედურსაც აღმოუჩენდნენ თავ-შესაფარს.

*** ბ-ნ გრ. ვოლსკისაგან მოგვივიდა ქ-ნ მაკრინე ღლონტისაგან ბათუმში შეკრებილი ხუთი მანეთი საავადმყოფოში მყოფ ალექსანდრე ყაზბეგის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა გვქონდა დღევანდლამდე 243 მან. 50 კაპ., ამით შესდგა 248 მან. 50 კ. აქავე ვბეჭდავთ შემომწირველთა სიასაც: ალ. აბაზაძემ 1 მან., გ. ბერიძემ 1 მან., მარიამ ანჯაფარიძემ 1 მან., სამოელ კანდელაკმა 1 სან. და გიორგი გვალიამ 1 მან., სულ 5 მანეთი.

*** ამ ერთს-ორს კვირაზე ტფილისში მოხდება კრება ინჟენერ გიდრავლიკთა.

*** ქვემო აჭარის სოფლების წარმომადგენელნი ჩამოვიდნენ ტფილისში და მთავრობას სთხოვეს, შეუძლებელი ხალხი ვართ და სახელმწიფო გარდასახადი შეგვიმცირეთო.

*** წყალთა ინსპექტორის განკარგულებით უკვე დაიწყეს თარგმნა ქართულს ენაზედ კანონებისა წყლით სარგებლობს შესახებ ამიერ კავკასიაში. ეს თარგმანი იქნება ახალწლამდე კიდეც დაიბეჭდოს.

*** ბ-ნ კროპივნიცკის დასი აპირებს ტფილისში ჩამოსვლას. მოლაპარაკება უკვე დაიწყეს ბ-ნს ფორკატსთან ბანკის თეატრის მთელის სეზონით დასაქირავებლად.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს ამიერ-კავკასიაშიცა ჰსურს შემოიღოს კანონი, რომ ჭირიანი საქონელი დახოცონ ხოლმე. ამ მოკლე ხანში ტფილისში კრება მოხდება გუბერნატორებისა და ეს კრება განიხილავს ამ საგანსა.

*** ამ თვეში სასისხლისსამართლო განყოფილება ტფილისის ოლქის სასამართლოსი განიხილავს სხვათა შორის შემდეგს ორს საქმესაც: ერთია საქმე გაზეთ „კავკაზ“-ის რედაქტორის ბ-ნის ტებენკოვისა, რომელმაც არ აღასრულა ბრძანება საცენზურო კომიტეტისა და არ დაბეჭდა საპასუხო წერილი; მეორე საქმე გაზეთ „ნორდარის“ რედაქტორ-გამომცემელის ბ-ნ ს. სპანდარიანისა, რომელსაც ჰბრალდება ცენზურის მიერ ნებადაურთთველ წერილს დაბეჭდვა თავისს გაზეთში.

*** ჩვენს ქალაქს 1800 დესეტინა მიწა აქვს ავლაბარს იქით. ეს მიწა აქამდე ავლაბრელებს ჰქონდათ ხოლმე აღეღული იჯარით წელიწადში 2,190 მანათად. 30 ნოემბერს კვლავ ავლაბრელებმა აიღეს იჯარით სამის წლის ვადით და წელიწადში ქალაქს უნდა აძლიონ 2,500 მანათი.

*** ნიგოითი: (ოზურგეთის მაზრა): ნიგოითის რკინის-გზის სადგურზე ქურდებმა გასტეხეს დუქანი კონს. ორმოცაძისა და წაიღეს 16 მან. ფულად.

*** იქიდამვე: ჩვენს სოფელში დაწესებულია, რომ ყოველ-ღამე 12 კაცი ჰყარაულობდეს სოფელს, მაგრამ როგორც ამბობენ კვიმატის ენის პატრონები, შუა-ღამის შემდეგ ერთს ყარაულს ვეღარ იპოვნი ფხიზელს, ყველანი თავთავიანას სახლში მიდიან და ძილსა და მოსვენებას ეძლევიანო.

*** ოზურგეთი: 29 ნოემბერს, ერთის აქაურის მცხოვრებელის საჯინიბოში შესულიყვნენ ქურდები და ორი საუკეთესო ცხენი წაეყვანათ. პოლიცია ფეხზე დადგა მეორე დღეს და დილა ადრიანავეშეუდგნენ ქურდების ძებნას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ იპოვნეს. შეიტყეს მხოლოდ, რომ ქურდები რიონის ბორანზედ გასულიყვნენ.

*** სოფ. ატოცი: (გორის მაზრა), ჩვენს სასოფლო ეკკლესიას დიდ-ძალი მლოცავი ჰყავს, დღეობა, კარგი იცის და შემოსავალიც დიდი აქვს. მაგრამ ამ მდიდარ ეკკლესიის პატრონს სოფელს არც სამრევლო სკოლა აბადია დ არც საერო სამინისტრო სასწავლებელი. ჯერ მარტო ეკკლესიას შეუძლიან, თავისის სარჯოთ გამართოს, თორემ სოფელიც ხომ დიდად მოწადინებულია ამ საქმისათვის. რომ გამოგვიჩნდეს ვინმე ერთი ღვთის კაცი და ითავოს, ძლიერ ადვილად ვეღირსებით სკოლასა.

*** ბორჩალოდგან სწერენ გაზეთს „ნოვ. ობოზ.“-ეს; „25 ნოემბერს, ღამით მოჰკლეს სოფ. აღმამედლოს მცხოვრებელი ბაირამ-ალაქიში-ოღლი. ბოროტგანმზრახველებმა სახლის ჭერის ჯუჯუტანიდგან ესროლეს თოფი. როგორც ეტყობა, მიზეზი სისხლის-ძიება ყოფილა, რადგან მკვლელებს თან არა წაუღიათრა“.

*** „ნოვ. ობოზ.“-ის გუშინდელს ნომერში შემდეგი წერილია დაბეჭდილი რედაქციის მიმართ: „ბ-ნო რედაქტორო, თქვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილი იყო თეირანიდგან ნაუწყები ამბავი, რომ „ამ რამდენისამე დღის წინად თანადასწრებით მისის უდიდებულესობისა, შახისა, თავი მოჰკვეთეს ერთს მისს მსახურს, რომელმაც მოიპარა მისის საყვარელის ტახტიდგან ძვირფასი თვლები“-ო.

ეს ამბავი არ არის მართალი. აი ნამდვილი გარემოება ამ საქმისა, როგორც ოფიციალურად აუწყეს ელჩსა.

მისის უდიდებულესობის შახის სასახლის დარბაზში ინახება ისტორიული სამეფო ტახტი. ეს ტახტი, რომელიც ერთს დროს მამედ-შახს ეკუთვნოდა, მოტანილია ინდოეთიდგან ნადირ-შახის მიერ და შემკულია ძვირფასის თვლებით.

ამ რამდენისამე ხნის წინად ხსენებულ ტახტიდგან, რომელსაც ტახტი ტავუზი ეწოდება, ვიღამაც რამდენიმე ძვირფასი თვალი მოიპარა.

რადგან ტახტი ძლიერ იშვიათი ნივთია, ამიტომ ხსენებული ამბავიც იშვიათ ამბად ჩასთვალეს სპარსეთში. როცა ძიება დაიწყეს, აღმოჩნდა, რომ ერთს უბრალო მსახურს მოეპარა სასახლისას. ქურდი ცოლმა გასცა, შემდეგ თითონაც აღიარა თავისი დანაშაული და მოპარული ნივთიც დაუბრუნა. მთავრობის განკარგულებით ქურდი დააპატიმრეს, მაგრამ დამნაშავემ საპატიმროში მესამე დღეს თრიაქი დალია და თავი მოიწამლა და არა თავი მოჰკვეთეს, როგორც თქვენი კორესპონდენტი გწერთ.

მდივანი სპარსეთის მთავარ საელჩოსი ტ. ბეხმენი“.

*** 1 დეკემბერს ქვრივმა ეკატირინა შაცკაიამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ მიხეილის ქუჩაზე ჩემმა მოსამსახურემ სოფ. ქვაცხუთის მცხოვრებელმა საბა გოგებასიშვილმა 15 მან. ღირებული 5 სტოლის კოვზი მომპარაო. დამნაშავე შეიპყრეს.

*** ამავე დღეს ქ. კამენსკის მცხოვრებელმა აბრამ ზინგელმანმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ხუთის დღის წინად ჩემს სამჭედლო ქარხანაში მოვიდნენ პიატიგორსკში მცხოვრებელი ვასილი სამოილოვი და კავკავის მცხოვრებელი თედორ ივანოვი და მთხოვეს, ქარხანაში მიმეღო. მე მივიღე ეს კაცები და, როცა დაძინებას ვაპირებდი თავს დამესხნენ. ერთი ყელში მეცა და მეორემ-კი კუხნის დანა მოიტანა და დამიწყეს მუქარა: რაც ფული გაქვს, თუ არ მოგვცემ, მოგკლავთო. შემდეგ საათი და ფულის ქისა წამართვეს. მე ყვირილი მოვრთე. ჩემს ყვირილზე შეიკრიბნენ პოლიციელნი და სხვებიც და იქვე შეიპყრეს. დამნაშავენი გამომძიებელს წარუდგინეს და აღიარეს თავიანთი დანაშაულიც.

*** 2 ამ თთვისას, ღამით, ბულვარზე, თავ. ბაგრატიონ მუხრანსკის სახლებში, ადამიევის სასტუმროში, კაპიტანის ქალმა სოფიო პავლეს, ასულმა ობეხოვსკისამ 26 წლისამ, თავის მოკვლა განიზრახა და საწამლავი დალია. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

## ქართული თეატრი

არსენა, სამ-მოქმედებიანი დრამა ალ. ყაზბეგისა.

ბიძიასთან გამოხუმრება, კომედია ერთ მოქმედ. რ. ერისთავისა.

გუშინ-წინ, 1 დეკემბერს, ქართულმა დრამატიულმა თეატრმა ძველი პიესა გაიხსენა, სახალხო წარმოდგენა გაჰმართა, და სწორედ ხალხიც დაესწრო: ქანდარა სულ მთლად სავსე იყო მდაბიო ხალხით, ხოლო პარტერში-კი ძალიან ნაკლებად იყო საზოგადოება.

პიესა „არსენა“ არა ერთხელ წარმოუდგენიათ ჩვენს სცენაზედ, დიდძალი ნაკლი აქვს, როგორც ლიტერატურისა, ისე სცენის ხელოვნების მხრივ, მაგრამ მდაბიო ხალხს მაინც უყვარს მისი ნახვა, რადგან ხალხის გმირია სცენაზედ გამოყვანილი.

პიესამ საერთოდ ლამაზად ჩაიარა, მხოლოდ ცოტა თვით არსენა სუსტობდა. პირველს მოქმედებაში ბ-ნს გუნიას ქართველის გლეხისა ცოტა-რამ ეტყობოდა და შემდეგაც, ყაჩაღობის დროს, უფრო დარდიმანდ მოქეიფე აზნაურშვილსა ჰგავდა, ვიდრე თავისდა უნებურად ბატონის ძალმომრეობით ყაჩაღად გავარდნას იძულებულს, დანაღვლიანებულს, სამართლიანს, გონიერს ქართველს გლეხკაცს. საგანგებოდ კარგი იყო ქ-ნი ავალიშვილისა, განსაკუთრებით მესამე მოქმედებაში, როდესაც არსენასა ჰკლავენ და ნინო ჭკუიდგან იშლება. ყიფიანმა ჩვეულებრივ კარგად ჩაატარა თავისი როლი, მაგრამ გვიკვირს, თუმცა პიესაშია, რატომ არ გამოსტოვებს და რად ამბობს ორს სიტყვას არსენას ნათლის-მამისა და მკვლელის მიმართ: „სულ-მდაბალი“, „იუდის კერძიო“. თავადი იორამი ბოროტი კაცია პიესით, გულ ქვავი, შეუბრალებელი, სამხედრო სამსახურში გარყვნილი, გაიძვერა, და ეს სიტყვები-კი თითქოს იმის გულის სიკეთეს ამტკიცებს.

ორიოდე სიტყვა რეჟისორის მიმართ: ყოველს წვრილმანს პიესაში, ცოცხალს სურათში დიდი მნიშვნელობა აქვს, ილიუზიის შემახამებელია და ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს; წარსულს წარმოდგენას-კი სულ არ ეტყობოდა რეჟისორის ხელი. აი მაგალითებიც: მეორე მოქმედებაში მუშა გლეხებს ზოგს ნამგალი ეჭირა და ზოგს ცელი, ასე რომ ძნელად გასაგები იყო, თიბვა ჰქონდათ, თუ მკა. მეორე. ყაჩაღი არსენა წითელის შალვრით იყო და თავზედ კიდევ თეთრი ნაბდის ქუდი ეხურა. ჯერ ერთი, არც ერთი ქართველი არ ჩაიცვამს წითელს შალვარს და სამარცხვინოდაც-კი მიაჩნია, მეორე—რომელი ყაჩაღი დაიხურავს თეთრს ქუდს, რომელიც ღამის წყვდიადში დაძვრება და მდევარს ემალება. ამას გარდა, მესამე მოქმედებაში, როცა მრისხანე იორამი მოურავთან მივიდა და არსენას მოკვლის შესახებ ელაპარაკებოდა, მოურავი ადგილიდგანაც არ იძვროდა, არხეინად იჯდა და ისე ებაასებოდა, ასე რომ ბატონი მოურავი გამოდიოდა, და მოურავი კიდევ—მძლავრი ამაყაძე. არც ერთი გლეხი არ იკადრებს, რომ ბატონს ფეხზედ არ წამოუდგეს. ყოველივე ეს წვრილმანია, მაგრამ სადაც ეს წვრილმანი უყურადღებოდ არის დატოვებული, იქ სხვილმანსაც არაფრად ჩააგდებენ.

სამაგიეროდ ერთ-მოქმედებიანმა კომედიამ „ბიძიასთან გამოხუმრებამ“ სწორედ საუცხოოდ ჩაიარა. არტისტები ისე მწყობრად თამაშობდნენ, რომ თითქოს ერთი მეორეს ეჯიბრებიანო: ქ-ნი საფაროვისა, ბ-ნნი აბაშიძე და ყიფიანი სწორედ შეუდარებელნი იყვნენ. ასე წარმოიდგინეთ, ხინჩლას მოთამაშეც-კი კარგი იყო, თუმცა პირველადა ვხედავთ ამ არტისტს ქართულს სცენაზედ, და იმერელსაც არა უშავდა-რა.

მანოელიძე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ბაკურციხე** (სიღნაღის მაზრა) რომ იტყვიან „ციციაანთ დავათ" სწორედ თ. ვაჩნაძიანების (ალაზან გაღმა მხრის) ტყეების საქმეა. მამა-პაპიდგანვე დაწყებული დღევანდლამდის ვინ იცის და ვინ მოსთვლის, რამდენი უდანაშაულო კაცისათვის ან სიტყვიერად მიუყენებიათ შეურაცხყოფა და ან თავ-პირი დაუმტვრევიათ და ამდენმა უთავბოლოდ ატეხილ დავიდარაბამ და საჩივარმა ჩვენს მოსამართლეებსაც-კი მოაბეზრა ვგონებ თავი. მიზეზი ამ ამბებისა უთავ-ბოლოდ „საბალახების აღება" და სარგებლობაა, ტყეების გადაჭრა და გადაკაფვა.

დღეს სამწუხარო სურათს წარმოადგენს ჩვენი ტყე. თითქმის ნახევარზედ მეტი ამოვარდნილა და დიდი უბედურობა მოგველის მომავალში. ჩვენს ხსოვნაში არა ერთხელ ჰქონიათ მოლაპარაკება, რომ ერთმანეთის თანხმობით დაეცვათ როგორმე ტყე და აღეკრძალათ კერძო სარგებლობა და ტყეების გადაკაფვა, ბევრჯელ ამოირჩიეს კიდეც სანდო კაცები ტყების დამზოგველ დამცველებად, მაგრამ ყოველმავე ამაოდ ჩაიარა. იქნება ზოგიერთმა გვითხრას, ვინ არიან ნეტა ამ უწესოების მიზეზნი, ან ტყის ამომგდებლებიო. აშკარაა, გარეშე იქნება ვინმეო?! მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ გარეშე-კი არა, თვით შინაურები, ერთმანეთის მოძმენი არიან უწესოების მიზეზნიც. „კაცი რაც თავისთავს უზამს იმას მტერი ვერ უზამსო", ნათქვამია და ჩვენც სწორედ ისე მოგვდის, თორემ გარეშე რომ იყოს, საქმეს კიდევ ეშველებოდა რამე. უბედურება ის არის, რომ მტერი შინაურია, ერთმანეთის ჯიბრით ჰღუპავენ საზოგადო ტყეს. ზოგიერთი წელიწადში ასსა და ორასს ურემსა ჰყიდის და ტყეს ბოლოს უღებს. ვინ რას ეტყვის, იარაღში ჩამსხდრები დაიარებიან ტყეებში და ვაი ხმის გამცემს. შენ იმდენი წილი არა გაქვს, რამდენსაცა სარგებლობ, რომ უთხრან, მაშინვე იმას გეტყვით, რომ მაშ გავყოთ და რა წილიც მერგება, იმას ვისარგებლებო. ეხლაც ვერაფრით დაუმტკიცებთ, რომ მეტსა სარგებლობს და 25,000-მდე დესეტინის ტყის გაყოფაც ძნელია. ნეტა როდის ეღირსებათ ტყეების გაყოფა, რომ ყველას თავ-თავის წილი ჰქონდეს მიჩენილი.

სხვათა შორის ამ თთვის 22-ს, გიორგობას, ყრილობა ჰქონოდათ თ. ვაჩნაძეებს და სამისავე სოფლიდგან იყვნენ მოწვეულნი: სოფ. კოლაგოდისა სოფ. ბაკურციხისა, და კარდენახიდგან. უნდა შეყრილიყვნენ სოფ. ბაკურციხეში სამწუხაროდ, მოლოდინთან შედარებით, მეათედმა რიცხვმაც ძლივს მოიყარა თავი. ორის სამის საათის ბაასის შემდეგ აუცილებელ საჭიროებად იცნეს ტყის შეკვრა და დაცვა და დაადგინეს: ყველგან ფონებზედ (ხიდებზედ) უნდა დააყენონ ამორჩეული კაცები და დაუწესონ აღნიშნული გადასახადი ფასები, ხეტყის და მასალის ღირსებისა და კვალობის შესაფერად და ყოველ შინაურ საქონლის გადასახადიც. ერთმანეთს ყველა მონაწილე პირობის წერილით უნდა შეეკრას, რომ დაწესებული ფასი გადაიხადონ ტყის სარგებლობისათვის. კერძოდ ყველას აღეკრძალება სხვაზედ გასყიდვა ხეტყისა საზოგადოების ნება-დაურთველად. საერთო შემოსავალი უნდა გაანაწილონ. ყოველივე ეს სიტყვიერად მოილაპარაკეს და ვნახოთ, რით დაბოლოვდება.

ამ თთვის 15-ს მობძანდა ჩვენი თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. მაღალაშვილი და სახელმწიფოდგან დანიშნული რკინის გზების მმართველი ინჟენერებით და დაათვალიერეს მრავალი ადგილი სიღნაღის და თელავის მაზრებისა. როგორც შევიტყეთ, ძლიერ მოსწონებიათ ეს ადგილები. იმედია, რომ ამ ორის წლის შემდეგ კახელებს ეღირსებათ ტფილისში რკინის გზით სიარული. დღეს ბევრით დაიმედებული ვართ და ღმერთმა ჰბძანოს, ეს ხმა გამართლდეს.

შაქრო ი. ვ—ძე

---

## ნახული და გაგონილი მგზავრისა

(წერილი გურიიდამ)

7-ს ამ ნოემბრის თთვისას მივედი ნატანების რკინის გზის სადგურზე; აქედგან ეტლით ოზურგეთს ვაპირებდი წასვლას. ნაშუადღევის მეოთხე საათის ნახევარი იყო. გამოჩნდა ოზურგეთიდგან მომავალი დილიჟანსი. უფროსმა მედილიჟანსემ, რომელსაც კონდუქტორს ეძახიან, და მისმა ხელ-ქვეითმა დილიჟანსი გააჩერეს სადგურის შენობასთან. წვიმა ასხამს. მგზავრები გადმოვიდნენ დილიჟანსიდგან და დარბაზში შევიდნენ. ბათუმიდგან მატარებლის მოსვლას ნახევარ საათი აკლია. ვიღაც ოზურგეთიდგან მოსულმა რუსის აფიცერმა უსაყვედურა კონდუქტორს: „შენ ღმერთი არა გწამს, ცხენები არ გებრალება?! ამ სიშორე გზა გამოვიარეთ ამ ცხენებით და კიდევ ოზურგეთში უნდა გაბრუნდე! ეხლა უნდა გამოგეშვა და გესიარულებინა; ეს კიდევ არაფერი, ამ წვიმაში რომ ცას ქვეშ გააჩერე, მყუდრო მაინც მოგენახა". კონდუქტორმა ამაზე ყური მოუყრუა, არ გასცა პასუხი. ვერ გაიგო, რასაც ეუბნებოდნენ და იმიტომ, თუ პასუხის გაცემის თავი არა ჰქონდა, არ სცალოდა. მის მაგიერ პასუხი გასცა აფიცერს ერთმა „მერუსულემ". აი ეს პასუხიც: „გურიაში ცხენების რიგიანად მოვლას არავინ არ აქცევს ყურადღებას; ჰხედნიან დაუზოგავად და რომ „გაცვდება", სხვას იყიდიან. ცხენები, აქ ძვირი არ არის, იაფია". ზარალი რომ არ მივიღოთ მხედველობაში, საწყალ პირუტყვის შებრალება მაინც უნდა ჰქონდეს ადამიანსაო. აი, აი, დააყოლა აფიცერმა და უსიამოვნების ნიშნად მხრები შეიშმუშნა. ამ ლაპარაკის დროს კონდუქტორი მეზვერეს მოგაგონებდათ: აეკვიატა მგზავრებს „ექინჭილებოდა", თავს აბეზრებდა, „ნავოდკი" მერგება, მომეციო; ზოგს აბაზს სთხოვდა, ზოგს ორს შაურს.

4 საათზე მოვიდა ბათუმიდგან მატარებელი. ოზურგეთში მიმავალთ ავიღეთ დილიჟანსის ბილეთები. მატარებელი რომ ტფილისისაკენ გაემართა, ჩვენ ჩავჯექით დილიჟანსში და გავემგზავრეთ ოზურგეთისაკენ. დილიჟანსი ორად არად არის გაყოფილი. წინა განყოფილებაში 4 კაცის საჯდომად არის დანიშნული, უკანა— 8 კაცისათვის. ვიჯექით 12 კაცი, კონდუქტორად წოდებულ უფროს მედილიჟნეს და იმის ხელ-ქვეითს გარდა, მაგრამ, რა! სივიწროვის გამო აღარ ვიცოდით, რა გვექნა, ჰერხებივით ვეწყეთ და ვაწვებოდით ერთმანეთს. უფრო დიდი გასაჭირი აღგებოდა, ვინც უფრო სუსტი იყო ჩვენში. ცოტა მანძილი რომ გავიარეთ, უფრო და უფრო ვსწუხდებოდით, გაჭირვებას ბოლო არ უჩანდა. დაბადების დღე დავიწყევლე. ვიფიქრე, ეხლა რომ ღამე არ იყოს და ეს ტყე-ვერანი ადგილი, ჩამოვიდოდი და ფეხით წავიდოდი-მეთქი. მაგრამ ძალა დავატანე ჩემს თავს, რაც დამემართება, დამემართოს, უნდა გავძლო ამ ყოფაში მეთქი. გული კინაღამ წამივიდა. რის ვაი ვაგლახით მოვსცილდი ჩემს საჯდომს და უკან საჯდომისკენ გავყავი თავი გარედ, ეგები თავისუფლად ამოვისუნთქო მეთქი. წვიმა-სიცივე იყო, მაგრამ ამას ვინ დაეძებდა. ცოტა შვება მომეცა. კარგად ვერც სხვები გრძნობდნენ თავისს თავს. მაგრამ ორმა გურულმა „ჰმუნვის გასაქარვებლად დაიწყო სიმღერა ლექსისა, რომელიც შეთხზულია გამაჰმადიანებულის ქართველისაგან უკანასკნელის რუსის და თათრის ომის დროს. სიმღერით იმ ლექსის თქმა ძალიან გახშირებულია გურიაში.

ეს სიმღერა ისეთის სასიამო კილოთი და მკაფიო ხმით იყო დაწყებული, რომ „კაკალი გული გაიხსნა", ყურთა-სმენა დაატკბო, დამავიწყდა ყველა ცხოვრების უსიამოვნება. როგორც საამურად იყო დაწყებული სიმღერა, უთუოდ საამურად დასრულდებოდა, დამწყებთათვის რომ „შეენებებინათ". ჩვენმა კონდუქტორმა როგორც-კი მოჰკრა ყური სიმღერას, მიატოვა თავისი ადგილი, დადგა დილიჟანსის უკანა საფეხურზედ და დაეხმარა მომღერალთ. უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზედ, და ძისი ხმა ყურებს ეხამუშებოდა. „მობეხრეკოდ", გატეხილად მეჩვენა. სიმღერა რომ დასრულდა, კონდუქტორი საფეხურს არ მოსცილებია და მიამბო; „ვერ წარმოიდგენ, რა უსაშველოდ, უზომოდ მიყვარს სიმღერა. თუ ვისმეს გაუგოხე სიმღერა, უეჭველად, თუ გინდ მკვდარი მესვენოს წინ, გაჩუმება, ძოთმენა არ შემიძლია, გული არ დამიტევს, სული წამძლევს და უნდა ავაყოლო ხმა; ჩემდა საუბედუროდაო, დაუმატა კონდუქტორმა: ეს ერთი ხანია ხმა „ჩამიხჩა", მაგრამ სიმღერის დათხოვა უსიკვდილოდ არ შემიძლია, გულს არ ვიტეხ, ვეძალები თავისს თავს და ვმღერიო. არ გავცივებულვარ და არაფერი, რა მიზეზია არ ვიციო". ჩემს გუნებაში გავივლე; ეს კაცი უთუოდ არაყის მოყვარული უნდა იყოს, ამდენს „ნავოდკი"-ს რომ იღებს და იმიტომ დაეკარგებოდა ხმა-მეთქი, მაგრამ ამის თქმას პირში როგორ შევკადრებდი. რა წესი არის ნავში „მჯდომმა მენავეს აწყენიოს". ღმერთო, ნუ მიწყენ და, მე ცოდვილმა პირ-ფერობა ვიხმარე ჩემის რწმენის წინააღმდეგ და ვუთხარი: არა უშავს-რა, კარგად მღერი-მეთქი. ჩემმა მესაუბრემ ეს „კომპლიმენტი" რომ მოისმინა, შეიფერა, გუნებაში გაუხარდა, გაყოჩაღდა და მითხრა: წინად ისეთი სანაქებო ხმა მქონდა, რომ ყოველ კაცს მოეწონებოდა სწორედ, ახლა, რომ ვმღეროდი, იგი მონაგონი არ არის იმასთან. გურულები საზოგადოდ ლხინისა და სიმღერის მოყვარულნი არიან, მაგრამ ასეთს სიმღერის მოყვარულ-მოტრფიალეს, მგონია, ჩემს დღეშიაც არ გადავყრივარ. ბოლოს მკითხა ნაღვლიანად: „ვითომ არ გამეხსნება ხმაო". როგორ არა-მეთქი,, დავანუგეშე.

ნახევარზე მეტი გზა რომ გავიარეთ, დილიჟანსი გააჩერეს ერთის დუქნის წინ; აქაურმა მედუქნემ დაგვახვედრა შემდეგი ამბავი: „დღეს შუა დღისას პოლიციის ბოქაული ბეკო მდივანი რამდენსამე კაზახ რუსებით გარს შემოერტყა სოფ. მელექედურში ერთს სახლს რომელშიაც ცხრა ყაჩაღი იყო. ბოქაული მდივანი დასჰრეს, ტყვია თეძოში აქვს მოხვედრილი, ერთი კაზახი რუსი მოჰკლეს: თვითონ ყაჩაღები უვნებლად გადარჩნენ და გაიქცნენო", ამ ამბავმა, რა თქმა უნდა, ყველა შეგვაწუხა, შეგვაშფოთა და შეგვაძრწუნა. ჩემმა თანამოგზაურებმა ჩამოთვალეს გავარდნილის ყაჩაღების სახელი და გვარი, მათი „საქმენი საგმირონი". ვიღაც მგზავრმა სთქვა, ესა-და-ეს კაცი არ გაფირალდებოდა, მაგრამ, „დააფეთეს", ისე მოუხერხეს საქმე, რომ იძულებული გახადეს, გადავარდნილიყოო. ჩააცივდნენ, გვითხარი, ვისი ბრალი იყოვო; მაგრამ არა სთქვა, რა ჩემი საქმეა ამის თქმა, თქვენც-კი იცით და ქვეყანამაც იცის, მე რაღას მალაპარაკებთო. ყველამ თავისებურად დაიწყო სჯა და ფილოსოფოსობა, თუ რა ღონე უნდა იღონონ ყაჩაღების შესაპყრობლად. მერე უფრო უბრალო ლაპარაკზე და წარსულის მოგონებაზედ გადავიდნენ. ერთი ამბობდა: ახლა დაიქცევა, და „დაიფსება" ავ-კაცებისაგან მრავალ-ტანჯული გურია. ერთი „ყაზილარი" დარჩია ყაჩაღობდა და ქვეყანა შეაწუხა, ცხრა ყაჩაღი რა სიავეს არ ჩაიდენსო. მეორე ამბობდა: ფირალები რაღა დროსია, ხეირს რომ აღარ დაგვაყრის, ცხადია, მაგრამ „ეგზეკუცია" თუ ჩამოგვიყენეს, ის ფირალებზედ არა ნაკლებად გვაშინებს. მესამემ სთქვა, მართლია, იარაღიც გვაქვს, ღონეც შეგვწევს, მაგრამ ეხლა რომ ფირალები დაგვესხას, ხომ ერთიანად ამოგვწყვეტენ, იმიტომ რომ ვიწროთა ვზივართ, შეკრულ-შებოჭილი, ხელების გასაქანი და გასანძრევი ადგილი არა გვაქვს მეოთხემა სთქვა: რას მერჩის ფირალი, ვმადლობ ღმერთს; ფულებიდგან თავისუფალი ვარ, თაგვები „დახრიგინობს" ჩემს ჯიბეში. ამას მეორე შეელაპარაკა: თუ ფულები არა გაქვს, კიდევ უარესიაო. წინად რომ ფირალები იყვნენ, ვისაც შეხვდებოდნენ, თურმე „შეფახვიდნენ", შემოუძახებდნენ და ეტყოდნენ, ამოიღე ფული და მოგვეცი, რამდენიც გაქვსო (5 მანეთსაც სჯერდებოდნენ, 3—საც)., ფულს რომ გამოართმევდნენ, მადლობას ეტყოდნენ და წავიდოდნენ თავისთვის. ვინც ეტყოდა, არა მაქვს ფულიო, იმას სინჯვა „ჩხრეკას" არ დაუწყებდნენ, შეუბღვირავდნენ მრისხანედ, გაჰკიცხავდნენ უწმაწურის, მკვახე-მკვახე სიტყვებით: შე გამოთაყვანებულო და ბოლო-მოღებულო, თუ არაფერი სიკეთე არა გაქვსო, ვერ დაეგდები შინ, რას დაღოღავ, რას დაეთრევი, რა გამოსაჩენი კაცი ხარ! გატყეპდნენ, გაჯოხვიდნენ და დააგდებდნენ ისე. ბევრს დაემართა „ეგ სიკეთე", მაგრამ ზოგ გაბერტყილსა და ზურგ-ამწვარს სირცხვილით არ გაუმჟღავნებია, შეინახა ნამუსი. ამ სიტყვებმა ყველა გააცინა. როგორც იყო გვეშველა და ვეღირსეთ ოზურგეთში მისვლას.

ამ დღეს ოზურგეთში, როგორც ჩვენის გუბერნიიდგან, აგრეთვე ტფილისის გუბერნიიდგან დიდ-ძალი თავად-აზნაურობა შეკრებილიყო: დასაფლავება ყოფილიყო კნიაჟნა გურიელისა, რომელიც გიმნაზიაში ამთავრებდა სწავლას. მიამბეს, რომ საბრალო ქალი სისხლის ნაკლებობისგან იტანჯებოდა, მკურნალებმა ჯან-საღის ადამიანის სისხლი აიღეს და ჩაუყენეს ტანში, მაგრამ თქვენს მტერსა და დამაწყევარს არა ეშველოს-რა, იმას ვერ მოეხმარნენო. 7-ს ნოემბერსვე გაეთავებინათ ადგილ-მამულის ბაჟის გაწერა. ყველა სოფლის საზოგადოებიდგან ყოფილიყო მოწვეული თითო-ოროლა კაცი, მკვდრის მამულის რაოდენობის ცნობაში მოსაყვანად და ყველას მიეღო მონაწილეობა გარდასახადის განაწილებაში. უნდა ვსთქვათ, რომ პირველდელ გაწერის დროს ბევრი ათასის ქცევის და მომეტებულის ადგილების პატრონები სულ გამოტოვებულნი იყვნენ სიიდგან და აქამდის ერთი კაპეიკიც არ გადაუხდიათ. დამსწრეთ მიამბეს: წინანდელ გაწერასთან შედარებით წესიერად არის გაწერილი, ყველა ადგილის მეპატრონენი შეიტანეს გადამხდელთ სიაში და მათი შესახვედრი გარდასახადი შეაწერეს; უანგარიშოდ არავის არ აქვს მოხვეული კისერზედ გადასახადი, ასე რომ საჩივარი და უკმაყოფილობა არ უნდა ატყდესო.

წამოსვლის დროს ერთს ჩემს ნაცნობს ვუთხარი: „ნატანებში მინდა წასვლა, მაგრამ, „მაისობას" რომ განსაცდელი გადამწყდა სივიწროვის გამო, თუ „მოისობასაც" ისე დამემართა, დილიჟანსით წასვლა არ შემიძლია, ერთს ამხანაგს რომ ვიშოვიდე, ეტლს დავიქირავებ-მეთქი". მითხრა, დღეს იმოდენა კაცი არ იჯდომება, რა გიჭირს, ჩაჯექიო. დავუჯერე და ვიყიდე მეეტლეთა ამხანაგობის კანტორაში" დილიჟანსის ბილეთი. წამსვლელები შევიქენით 11 კაცი, მაგრამ უკანა განყოფილებაში ისევ, როგორც „მაისობას", 8 კაცი ვიჯექით. წინა განყოფილების 4 ადგილი სამს კაცს ეყიდნა. გვიანღა იყო, გზაში მივხვდი (თუმცა მაინცა-და-მაინც ბრგე და ახოვანი ვერ ვარ) ასაცილებლად შეწუხებისა, ჩემთვის უნდა მეყიდნა ორის კაცის ბილეთი. მოგეხსენებათ „ადამიანი ყველაფრის შემჩვევი არსებაა". ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო და მეც ეს ვიწროობა და გვერდების მწარე მასაჟი წინანდებურად არ მაწუხებდა. ჩვენთან დილიჟანსში ერთი სენაკში მიმავალი კაცი იჯდა, იმას არაფრად მოეწონა ოზურგეთ-ნატანების გზა და სთქვა: „საკვირველია, გურიაში, სადაც მცხოვრებლების რიცხვი 60 ათასამდის არის, სულ ერთი-ორი გზაა და ისიც უხეიროა, იმასაც ვერ ინახავენ ხეირიანად. ვინ აკეთებს ნეტავ ამ გზას? მამასახლისებიო, უთხრეს... იმიტომაც არის კაიშვილიო, სთქვა და განაგრძო მოსაუბრემ: „რას იზამ, ოზურგეთის მაზრაში პოლიცია ყაჩაღების დევნას მოუნდა და გზები ქე დარჩა გაუკეთებელი. ნეტა ფირალებს მოუხერხებდნენ რამეს და

სენაკის მაზრაში ამაზედ უკეთესი გზატკეცილი, ერთი სოფლიდგან მეორე სოფელში მისავალიც-კი არის. იცით, სენაკის მაზრაში გზების გაყვანის შემდეგ, ხალხმა პატიოსანს შრომას მიჰყო ხელი, ცხოვრება გაუადვილდა; ქურდობა-ავაზაკობა და ძარცვა-გლეჯა შესამჩნევად შემცირდა". კაი ხნის სიჩუმის შემდეგ ერთმა სასიამოვნო შეხედულობის ახალ-გაზდა კაცმა დაიწყო ლაპარაკი: „ჩვენი მანეთი ვერ მანეთობს, ოქრომ ძალიან მოიმატა ფასი". ვიღაც სოფლელმა უთხრა: „ოქროს ფასის მომატებით, ჩვენ ძალიან ვსარგებლობდით, მაგრამ წელს რადა, სიმინდს აღარ უშვებენ საზღვარ-გარედ". ახალგაზდამ სთქვა: „გუშინ დეპეშა მოვიდა ბათუმში, სამ-სამ აბაზად ვიყიდით ფუთსაო, „წითელი ჯვარის" გამგეობა ჰყიდულობს; აწი კიდევ მოემატება ფასიო". მერე ასწერა დამშეულ გუბერნიების უკიდურესი მდგომარეობა: იქამდის მიაღწია გაჭირვებამ, რომ ხალხმა ხეების ხვრას მიჰყო ხელი, ხის ქერქით იკვებება. მოგეხსენებათ, ჯარის კაცებს დღიურად სამ-სამი გირვანქა პური ეძლევათ. მთელმა აფშერონის პოლკმა გამოაცხადა, რომ ჩვენ დღეში ორ-ორს გირვანქა პურს ვიყოფინებთ და თითო გირვანქა დამშეულებს ეძლიოსო". ყველას შეგვაწევენო, სთქვეს. მე, როგორც სარწმუნოდ ვიცოდი, ვსთქვი: „გურიის ზოგს სოფლებში ყრილობაზე გადასწყვიტა ხალხმა, თითო-ოროლს ფუთს სიმინდს ყველა შევეწიოთ და ჩავიტანოთ ერთ-ერთ რკინის გზის სადგურში, ვითხოვოთ, რომ მიუვიდეს დამშეულებსო".

ნატანებში მისვლას 2 თუ 3 ვერსი გვიკლდა. კონდუქტორმა გამოგვიცხადა, აქ აღმართია, ცხენები ვერ აგიყვანთ, დილიჟანსიდგან გადმობრძანდით! გადმოვედით. სწვიმს. ბევრი ექაჩავეს, აწვალეს ცხენები მაგრამ ცალიერი დილიჟანსი ვერ დასძრეს ადგილიდგან, აღმართს წებოსავით წითელი ტალახი დამატებოდა. დავეხმარეთ ყველანი. 15 წუთზე მეტს ვეცადეთ შეერთებულის ღონით და დავსძარით ადგილიდგან დილიჟანსი. ვიფიქრე, ფიზიკურად ძლიერს კაცებს მუდამ უნდა დაატარებდეს ეს დილიჟანსი მუქთად მეთქი, ხან დილიჟანსი წაიყვანს კაცს და ხან პირ-იქით კაცს დილიჟანსი გაუხდება სათრევად მეთქი. ვინ იცის იქნება, ისევ სათრევად შემექნეს დილიჟანსი მეთქი. ხიფათის ასაცილებლად, აღარ ჩავმჯდარვარ შიგ და ფეხით ჩავედი ნატანებში.

ოზურგეთის „მეეტლეთა, ამხანაგობას" რომ ჰკითხოთ, გეტყვიან: ჩვენ საზოგადოებას სამსახური გაუწიეთ: წასვლა-მოსვლა ოზურგეთ-ნატანების გზაზე გავაადვილეთო. „მედა ჩემმა საიქიომ", ჩემი წერილი გაზვიადებული და გადაჭარბებული არ არის. „ღმერთს მართალი უყვარს". მეეტლეთა ამხანაგობამ წასვლა-მოსვლის ქირა შეამსუბუქა, მაგრამ თვით მგზავრობა, როგორც ჰხედავთ, ვერაფერი სუმბუქია. ეხლა რომ ასე გასაქირია 12 კაცის იმ ერთის დილიჟანსით მგზავრობა, პაპანაქება სიცხეში რა იქნება! გაჭირება-შეწუხებაც რომ განზე გადავდოთ და არ მოვიხსენიოთ, ქალების და კაცების ასე მჭიდროდ დასხდომა რა რიგია, რა ზრდილობაა! როგორც „კალამი"-ს წერილიდგან ვიცით „მეეტლეთა ამხანაგობა არა ზარალობს. „კარგი ჰქენი, მარილიც მოაყარეო", ნათქვამია. კარგს იზამს ამხანაგობა ერთს დილიჟანს 12 კაცის მაგიერ 9 კაცის საჯდომად დანიშნავდეს ფასის შეუცვლელად. თუ ამას ვერ დაინახავს შესაძლებლად, ისევ სჯობია, ქირა, რასაც 12 კაცისაგან იღებს, 9 კაცისაგან აიღოს და, რამდენიც ჩაეტევა, იმდენი მგზავრი ატაროს.

თეოფანე კალანდარიშვილი

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ამას წინად ჩვენს გაზეთში ორიოდე სიტყვა გვქონდა ნათქვამი ჩრდილოეთ საფრანგეთის მადნების მუშების პირ-შეკრულობის შესახებ. ეს აღთქმა იმ უთანხმოებამ გამოიწვია, რომელიც ჩამოვარდა მადნების პატრონებსა და მუშებს შორის. ამ უთანხმოებამ და მის მიერ გამოწვეულმა მუშაობის აღკვეთამ იქამდე მიაღწია, რომ საფრანგეთის მთავრობამ საჭიროდ სცნა ამ საქმის გარჩევა. ამის გამო ფრეისინემ ახალი კანონ-პროექტი შეიტანა დეპუტატთა პალატაში, რომ ამიერიდგან მთავრობამ იკისროს ყველა იმ უთანხმოების განსამართლება, რომელიც უკანასკნელს დროს ძლიერ გახშირდა მწარმოებელთა და მუშათა შორის. ამ კანონ-პროექტის დედა-აზრი ახალი არ არის. 1868 წელს ინგლისში ნოტინგენის მექარხნე მუნდელის მეცადინეობით დაარსებულ იქმნა მომრიგებელი სასამართლოები, მწარმოებელთა და მუშებს შუა მომხდარ უთანხმოების განსახილველად, რადგანაც ასეთი ამბები იმ დროსაც იშვიათი მოვლენა არ იყო ინგლისში. ამ გვარი მომრიგებელი სასამართლოები ეხლაც არსებობს ინგლისში. თუმცა, ეს სასამართლოები 1868 წლიდგან არსებობს ინგლისში და ინგლისის მიბაძვით სხვა ქვეყნებშიაც დაარსეს, მაგრამ ამ ჟამად ეს საქმე ახალ მოგონებად მიაჩნიათ, ჲ აი რადა: აქამდის ამ სასამართლოებს კერძო ხასიათი ჰქონდა ჲ მუშები ძლიერ იშვიათად მიჰმართავდნენ ხოლმე ამ სასამართლოებს, რომელსაც თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, რადგანაც ამ სასამართლოს გადაწყვეტილება არავისთვის სავალდებულო არ იყო. მთავრობა თავის მხრით სრულიად არ ერეოდა ამ საქმეში და არავითარს ყურადღებას არ აქცევდა არც მრეწველთა და მუშათა შორის მომხდარს უწესოებას და არც მომრიგებელ სასამართლოს გარდაწყვეტილებას.

ეხლა-კი სულ სხვაა. ეხლა თითქმის ყველა სახელმწიფოს მთავრობა აშკარადა ჰხედავს, რომ მუშების უთანხმოებას, მათ მიერ არა იშვიათს მუშაობის აღკვეთასა და ფულიან მრეწველთა წინააღმდეგ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საზოგადოებისა, არამედ მთელის სახელმწიფოსათვის, იმის სოციალურისა და ეკონომიურის ავ-კარგიანობისთვის. რაკი შეიგნო ეს საფრანგეთის მთავრობამ, ეხლა სცდილობს ყოველგვარი საშუალება და ღონის ძიება იხმაროს და თავიდგან აიცდინოს ამ უკანასკნელს დროს გახშირებული და სახელმწიფოსთვის დიდად მავნებელი მრეწველთა და მუშათა შორის გამწვავებული უთანხმოება და ბრძოლა. საფრანგეთის მთავრობა ეხლა თავის მოვალეობადა სთვლის, რომ როცა ეს უთანხმოება ჩამოვარდება ხოლმე, ეცადოს, რაც შეიძლება მალე მოარიგოს ერთმანეთს მრეწველები და მუშები და დააკმაყოფილოს სამართლიანი და საფუძვლიანი მოთხოვნილება მუშა ხალხისა.

მომრიგებელ სასამართლოების დაარსების შესახებ საფრანგეთში პირველად 1867 წლის გამოფენის დროს იყო ლაპარაკი. მუშათა დელეგაციის მიერ ამ წელს ამორჩეულმა კომისიამ სთხოვა მთავრობას, მუშათა საქმეთათვის განსაკუთრებული სინდიკალური პალატა დაგვიარსეთ და ამ პალატას დაავალეთ, „თვალყური ადევნოს დღიურს სამუშაო ფასს, ქარხნების მოწყობილებას, მეტადრე იმ გვარს შრომას, რომელიც მავნებელია მუშა-კაცის ჯანმრთელობისათვის და ყველა იმ გარემოებას, რომელმაც შეიძლება მუშების მხრით უთანხმოება გამოიწვიოს. ამ პალატასვე მიანდეთ ყოველ გვარის უთანხმოების განსამართლება და უწესოების მოსპობა". ამ გვარივე გარდაწყვეტილება დაადგინა 1876 წ. შეკრებილმა საფრანგეთის მუშა ხალხის კონგრესმა. 1877 წ. პარიჟის მუშებმა კანონ-პროექტი შეადგინეს, რომ დავაარსოთ „მომრიგებელთა სამედიატორო პალატა"-ო. ამას შემდეგ საფრანგეთის ყველა კუთხეში მუშების კონგრესები ამ გვარსავე სამედიატორო პალატის დაარსებას სთხოვდნენ მთავრობას. მთავრობამ ამ საქმეს ყურადღება მიაქცია და პარლამენტის კომისია დანიშნა ზემოხსენებულის კანონ-პროექტის შესამუშავებლად. კომისია გულმოდგინედ შეუდგა საქმეს და 1888 წელს წარუდგინა კიდეც მთავრობას თავის მიერ შემუშავებული კანონპროექტი. ამ დროს გამოტყვრა ბულანჟელების საქმე და ხელი შეუშალა ამ პროექტის განხორციელებას. უკანასკნელად ჩრდილოეთ საფრანგეთის მადნების მუშების პირ-შეკრულობამ ხელმეორედ აღძრა ამ კანონ-პროექტის შესახებ ლაპარაკი და ეხლა ეს კანონ-პროექტი უკვე წარდგენილია განსახილველად დეპუტატთა პალატაში. ამ კანონ-პროექტის შინაარსისა და მნიშვნელობის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

## სასამართლოს მატიანე

20 ნოემბერი 1891 წ.

(არქიმანდრიტ ევგენიოზის მოკვლა თელავში).

(შემდეგი. იხ. „ივერია" 256)

მოწ. ზოქაულე იორამაშვილი: 25 დეკემბერს შემატყობინეს, რომ სოფ. ზემოხოდაშენში მოეკლათ წინა ღამეს არხიმანდრიტი ევგენიოზი. წინანდლიდამ ზემოხოდაშენამდის კარგი მანძილია და ამიტომ საღამოზე ჩამოვედი სოფ. ზემოხოდაშენში. არხიმანდრიტის სახლი დაკეტილი დამხვდა, თუმცა დაბეჭდილი-კი არ იყო. გავაღე ოთახის კარები და შევედი; ტახტის მახლობლად იატაკზე სისხლის გუბეში იდო გვამი არხ. ევგენიოზისა. განჯინები და ყუთები დამტვრეული და ღია იყო. არეულ-დარეული ნივთები ელაგა, თუმცა ძირს-კი არ იყო გადმოყრილი. კარების ჩანგალი გატეხილი იყო. ამ ჩანგალმა მიიქცია ჩემი ყურადღება, რადგანაც თვითონ ჩანგალი ჯერ გადატრიალებული იყო და მერე ყურიდგან გაშორებული. ამის გამო დავატუსაღე ბრალდებული ებიტაშვილი, რადგანაც ჩანგალი შიგ ოთახშივე უნდა ყოფილიყოს გადამტვრეული და არა გარედამ მიწოლით. ებიტაშვილმა მითხრა, რომ ღამე სამზარეულო ოთახში მეძინაო, რადგანაც მეალილოენი დადიოდნენ სახლებში. შუაღამისას ძაღლის ყეფამ გამომაღვიძა და კარებთან მივედიო. კარები დაკეტილი დამხვდა გარედანაო. მაშინ ვეცი ფანჯარას და გარედ გადმოვხტიო. არხ. ევგენიოზის ოთახიდგან სანთლის სინათლე ბჟუტავდაო; შევედი ოთახში და არხიმანდრიტი მოკლული დამხვდაო. დავიწყე ყვირილი და შევყრილიყვნენ მეზობლები, რომელთაც მამასახლისთან გაეგზავნათ კაცი. მამასახლისს დაეკეტა სახლი. შემდეგ, პატიმრობის დროს, პატიმარმა მოითხოვა თ. ლონგინოზ გურამიშვილის ნახვა. ებიტაშვილის ჲ გურამიშვილის ცოლის მონათლულია. ებიტაშვილი დატუსაღებული იყო თ. ლ. გურამიშვილის გომურში. ლონგინოზ გურამიშვილი წავიდა ებიტაშვილთან და რამდენისამე წამის შემდეგ იმასთან ერთად ისევ დაბრუნდა. მაშინ ებიტაშვილმა მიამბო, რომ არხ. ნიფონმა შემისყიდა, კარები გავუღე ქრისტოდულოს, რომელიც ოთახში შევიდა, მე გარედ გამოვედი, შემდეგ ქრისტედულო გამოვიდა ცულით ხელში და მე დამარიგა, ისე მეთქვა ყველასთვის, როგორც წეღან გიჩვენეთო. ამ სამსახურისათვის ათს თუმანს დამპირდნენო არხ. ნიფონი და ქრისტოდულო. განჯინების და ყუთის კლიტეები დამსხვრეული იყო; ტახტის ქვეშ ვიპოვნე პორთფელი, რომელშიაც გასინჯვის დროს, ხუთი თუმანი აღმოვაჩინე. იმ პორთფელშივე ეწყო ქაღალდები. მეორე დღეს პორთფელში ვიპოვნე 200 მანეთი, რომელიც წინა დღეს ვერ შევამჩნიე. ჩემის აზრით, ნივთები იმიტომ აერ-დაერიათ, რომ გუმანი შინაურებზე არავის აეღო. ყუთშივე ვიპოვნე პარკით ოსმალოს ოქროს ფული. არხიმანდრიტის სახლში წინად არა ვყოფილვარ. მე მგონია, რომ უცხო კაცს არ შეეძლო მკვლელობის ჩადენა, რადგანაც ეზოში ძალიან კაპასი ძაღლი იყო დაბმული. ყველა ნაპოვნი ნივთი არხ. ევგენიოზის სახლში გადავიტანეთ ნიფონის ოთახში. ეს ტილოს ნაჭერი იმ ნივთებში არ ერია და გამომძიებელმა იპოვნა ნიფონის ოთახში. ქრისტოდულომ კარგად არ იცის ქართული ენა; ქრისტოდულოს და ნიფონს თარჯიმანის შემწეობით ველაპარაკე. მართალია, მე გავგზავნე ებიტაშვილი არხიმ. ნიფონთან ფულის სათხოვნელად, მაგრამ ებიტაშვილი დაბრუნდა და მითხრა, რომ არხიმანდრიტი ფულს არ იძლევაო; ამბობს, ფული არა მაქვსო და მაშინ მოგცემ, როცა მამულებს და ფულს არქიმანდრიტისაგან ჩავიბარებო. როცა არქიმ. ნიფონსა ვკითხე, მიპასუხა, რომ მართალია, ებიტაშვილი მოვიდა ჩემთან ფულის სათხოვნელად, მაგრამ ის-კი არ აუხსნია, რა მიზეზით მთხოვდა ფულს, სესხად, თუ სხვ. მთელი წლიური შემოსავალი, თუ რომ კარგი მოსავალია, 2000 მანათია მონასტრის მამულებისა. მამასახლისმა და ზოგიერთმა მოწმემ მიჩვენეს, რომ იმ ღამეს ძაღლი აშვებული იყოვო. ყუთის გასაღები, რომელსაც ეხლა თქვენ მე მიჩვენებთ, არხ. ნიფონს ჰქონდა, მაგრამ ის-კი არ უთქვამს ჩემთვის, თუ სად იპოვნა გასაღები. მე მკვლელობის წინადვე მქონდა გაგებული, რომ არქიმანდრიტებს შორის უსიამოვნება ჰსუფევდა მამულების ჩაბარების გამო. ებიტაშვილმა მითხრა, რომ ნიფონმა მოაკვლევინა არქ. ევგენიოზი იმიტომ, რომ მამულების შემოსავალს არ აძლევდა. თითქმის პურსაც-კი უჭერდაო. ჩემის აზრით, ქრისტოდულომ იმდენად არ იცის ქართული ენა, რომ ლაპარაკი შეიძლოს და არქ. ნიფონსა და ებიტაშვილს შორის თარჯიმანობის გაწევა შესძლებოდა.

მოწ. მამასახლისი მისა ფეისხელაური. იობა ჭიჭაშვილმა შემატყობინა მე შუაღამისას, რომ არქიმანდრიტი მოუკლავთო; მაშინვე წაველ არქიმანდრიტის სახლში. შეველი ოთახში და ვნახე გვამი იატაკზე, ტახტის ქვეშ, სისხლის გუბეში. იქ ამ დროს ქრისტოდულო, ნიფონი და სხვ. იყვნენ. ისინი დავითხოვე, სახლი დავკეტე და კარები დავბეჭდე. როცა ვკითხე, სოლომონ ებიტაშვილმა მიამბო, რომ სამზარეულო ოთახში მეძინა, რადგანაც მეალილოენი მოდიოდნენ და ვისტუმრებდიო. შუაღამისას გამომეღვიძა ძაღლის ყეფაზე; გარედ მინდოდა გამოსვლა, მაგრამ კარები დაკეტილი დამხვდაო; მაშინ ფანჯრიდგან გადავხტი, დავინახე, რომ არქ. ევგენიოზის ოთახიდგან სინათლე გამოდიოდა და შევედი ოთახშიო. არხიმ. ევგენიოზი იატაკზე იდო სისხლით მოთხვრილი, გამოვედი და ყვირილი დავიწყეო. მე, რასაკვირველია, მაზრის უფროსს შევატყობინე არქიმ. მოკვლა და მეორე დღეს წინანდლის ბოქაული ჩამოვიდა. ბოქაულმა სახლი გასინჯა და გასინჯვის შემდეგ სოლომონ ებიტაშვილი დაატუსაღა. პირველში სოლ. ებიტაშვილმა ბოქაულს იგივე უთხრა, რაც მაშინ მე, თ. ლონგინოზ გურამიშვილის გომურში რომ იყო დაპატიმრებული. პატიმრობის დროს მოითხოვა გურამიშვილის ნახვა, რომელიც მალე დაბრუნდა, თან მოიყვანა ბრალდებული ებიტაშვილი და ამ უკანასკნელმა ბოქაულის წინაშე აღიარა, რომ ორის კვირის წინად მკვლელობამდის არხ. ნიფონი და იმისი მსახური გადამეკიდნენ, არხ. ევგენიოზი მოკალიო, მოურავად დაგნიშნავთ ჲ ფულითაც დაგასაჩუქრებთო. პირველს ხანში არ დავთანხმდი, მაგრამ შემდეგ დამითანხმეს. არქიმანდრიტის ოთახი უნდა გამეღო, ქრისტოდულო შემეშვა და ის მოჰკლავდა. ამისათვის ათს თუმანს მაძლევდნენ. მე დავთანხმდი და 24 დეკემბერს ღამე ქრისტოდულომ კარები დამირახუნო, კარები გავუღე და გარედ გამოვედი. ჩემ გარედ ყოფნაში ორი რიგობა მეალილოენი გავისტუმრე. შემდეგ გამოვიდა გარედ ქრისტოდულო, ცულით ხელში და მითხრა, გავათავეო. მერე სამზარეულოში დამკეტა და მითხრა, ყვირილი ასტეხე; როცა ხალხი მოვიდეს, უთხარი, რომ არხ. ევგენიოზის სახლს ავაზაკნი დაეცნენ და მე სამზარეულოში დამკეტესო. ებიტაშვილმა დაუმატა, რომ მე სამზარეულოს ფანჯრიდამ გადმოვხტიო, რა-

დგანაც პირობისამებრ, კარები დაკეტილი იყოვო. მე ვიცი, რომ მკვლელობის ღამეს არხ. ძაღლი აშვებული იყო. ძაღლი ძალიან კაპასია. არხ. ევგენიოზი ძალიან ძუნწი კაცი იყო. იშვიათად გამოდიოდა სოფელში; მამულების წლიური შემოსავალი 2000 მანათამდეა; სოფელში ამბობდნენ, რომ არხ. ევგენიოზი მდიდარიაო. კარებიდან უფრო ადვილად შევა კაცი არხიმ. ოთახში. მეორე სართულის ოთახიდგან არ შეიძლება დაბლა ოთახში ჩამოსვლა გარედგან, რადგან ზემო ოთახის ფანჯრები ძალიან მაღლაა.

ოთახის ნივთები, ანუ ავეჯი, არეულ-დარეული იყო, როცა მე მივედი. კედლის განჯინები და სკივრები დამსხვრეული იყო, მაგრამ ნივთები იატაკზე არ ეყარა და ისევ თავისსავე საწყობში ეწყო. განჯინების კლიტენი და კარების ჩანგალი ჯოხით იყო დამტვრეული. იმ პორტფელში, რომელიც ბოქაულმა გახსნა, ფული ეწყო, არ ვიცი, რამდენი. ყუთშიაც ოქროს ფული ვიპოვნეთ პარკით. ყოველივე ნივთი, ევგენიოზის ოთახში ნაპოვნი, ბოქაულმა არქ. ნიფონს ჩააბარა. ამ ნივთების სიაც არის შედგენილი, ასე რომ ეს ტილოს ნაჭერი, რომელსაც მე თქვენ მიჩვენებთ, თუ სხვა ნივთებში ერია, სიაში უნდა იყოს ჩაწერილი. ეს ტილო გამომძიებელმა ნიფონის ოთახში აღმოაჩინა. გასაღები იმ ოთახისა, რომელშიაც ევგენიოზის ნივთები ეწყო, პირველს დროს ბოქაულსა ჰქონდა და შემდეგ გამომძიებელმა მე ჩამაბარა. სოლომონ ებიტაშვილს ძალიან კარგად ვიცნობ. ამისი სახლობა ღარიბადა სცხოვრებს. ათი თუმანი მაგისთვის დიდი ფულია. ქრისტოდულოს მე არ ვიცნობ და არცა მქონია მაგასთან ლაპარაკი მკვლელობის შესახებ. როცა მე მივედი არხიმ. ევგენიოზის სახლში, ბრალდებულთ ჩვეულებრივი ტანისამოსი ეცვათ. ბოქაულმა ქრისტოდულო იმავე ტანისამოსით დაატუსაღა. მე არ ვიცი, რა ლაპარაკი ჰქონდა ლონგინოზ გურამიშვილსა და ბრალდებულს ებიტაშვილს გომურში. ჩვენთან-კი აღიარა, რაც გადმოგეცით. ევგენიოზის ოთახში არავითარი ნივთი არ დარჩენილა, სუყველაფერი ნიფონის ოთახში გადავიტანეთ. ნივთები გადაჰქონდათ ნიკოლოოზ კონსტანტინოვს, მოსე ჯავახიშვილს, ქრისტოდულოსა და ებიტაშვილს. ლონგინოზის ცოლს მონათლული ჰყავს ებიტაშვილის და.

(შემდეგი იქნება)

## დეპეშა

1 დეკემბერი

**პეტერბურგი.** პარასკევს მოხდა კრება განსაკუთრებულ კომიტეტისა, რომელიც შესდგა მემკვიდრე ცესარევიჩის თავმჯდომარეობით. ამ კომიტეტს გარდაეცა 200,000 მან., რომელიც სასახლეში ბალების გასამართავად იყო გადადებული, 272,122 მან. კიდევ შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან, 50,000 ფუთი ფქვილი და 10,000 ტომარა ქ-ნ პოლოვცევისაგან და 2000 მანათიც პოლივანელ ვაჭრის ივანიცკისაგან.

**სოფია.** კრებამ ერთხმად შეიწყნარა წინადადება სლავაკისა, რომ თავადს ალექსანდრე ბატემბერგს დაენიშნოს პენსია—50,000 ფრანკი.

პეტერბურგის ბირჟა, 29 ნოემბ.

| | მყიდველისა. მან. | კ. | გამყიდველისა. მან. | კ. | გაყიდულისა. მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, | 24 | 8, | 27 | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 165 | | 166 | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, | 19 | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 236½ | | — | ,, | — | ,, |
| —მეორისა . . . . | 215 | | — | ,, | — | ,, |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . , . | 200 | | — | ,, | 201 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 6°/₀. . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀. . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისაშავს ზღვაზე

### ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

### ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მოდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „Бабушка“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის სააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.


# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდო I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . . | „ | 30 |
| ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ძუნწი, საყმ წ. სურათ. წიგნი შ. მღვიმელისა . | „ | 15 |
| მეფე ლირი შექსპირისა, თარგმანი ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა . . | „ | 60 |
| საქართველოს მოკლე ისტორია მ. ჯანაშვილისა | 1 | 60 |
| საეკკლესიო ისტორია მისივე . . . . . . | „ | 45 |
| ივანნამ რა ვჰქნა? სმყაწვილო მოთხრობა ი. გოგებაშვილისა. . . . | „ | 10 |
| საზოგადო მიწათ მოქმედება, თხზ. მ. ზააღიშვილისა. . . . . . | „ | 20 |
| საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე . . . | „ | 25 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე . . . . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად . . . . . . . | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა . . . , . . . . . . . | 1 | 20 |
| იგივე ყდით . . . . . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით. | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. ალნიაშვილის მიერ, . | „ | 30 |
| იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . | „ | 75 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . . | „ | 25 |
| „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| „წყალობა“, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით ნათარგმნი თ. სახოკიას-მიერ . . . | „ | 30 |
| ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთში გამოცემული. . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . | „ | 80 |
| მეფე დავით აღმაშენებელი. ისტორ. დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა . . . . . . . | „ | 40 |
| გიორგი ვაშინგტონი, თარგ. ნ. ბარნაბიშვილის-მიერ. . | „ | 30 |
| მაჭმადიანთ ლექსები, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა . . . . | „ | 10 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . . | „ | 30 |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები წიგნი I . . . . . . | „ | 30 |
| სამის თავს გადასავალი, მოთხრ. ან. ფურცელაძისა. . | „ | 25 |
| ქიტესა—მისივე . . . . . . . . | „ | 15 |
| სამი სხვერპლი, დ. კარიჭაშვილისა . . . . | „ | 30 |
| ლენტის მსგავსნი ჭიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| პატიოსანი ადამიანი. . . . . . . | „ | 5 |
| ჟანნა-დარკ . . . . . . . . | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. . . . . . . | „ | 5 |
| „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . | „ | 50 |
| „შვილის აღზრდა“, თ. ხუსკივაძისა. . . . . | „ | 20 |
| ფიზიკური აღზრდა, გ. იოსელიანისა . . . . . | „ | 20 |


Дозв. ценз. Тифлисъ, 2-го Декабря 1891 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.